ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2732528

ნომერი: AR1419785

თარიღი : 11.07.2016

გაცემის თარიღი : 22.07.2016

გაცნობის თარიღი : 22.07.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მიხეილ ჭიაურელის ქუჩა N9 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ავალიშვილი პ/ნ 01018004484
- ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 17დ

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 17/03/2016 წლის #2488700 ბრძანებაში ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 11/07/2016 წლის №AR1419785 განაცხადით მომართეს გიორგი ავალიშვილმა და ჯამათა ჩარკვიანმა და მოითხოვეს

ამავე სამსახურის 17/03/2016 წლის №2488700 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 17/03/2016 წლის №2488700 ბრძანებით ქ. თბილისში, მიხეილ ჭიაურელის ქ. №9-ში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი:№01.13.01.018.119) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა 2016 წლის 18 მარტიდან 2018 წლის 18 მარტის ჩათვლით განისაზღვრა.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 17/03/2016 წლის №2488700 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობის 5661.51კვ.მ-ის მაგივრად - 5695,26კვ.მ, საცხოვრებელი ფართობის 1692.75კვ.მ-ის მაგივრად - 2969,59კვ.მ, საოფისე ფართობის 871.53კვ.მ-ის მაგივრად - 891,87კვ.მ, საზაფხულო ფართობის 632.39კვ.მ-ის მაგივრად - 632,79კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობის 356.46კვ.მ-ის მაგივრად - 336,42კვ.მ-ის დაფიქსირება. განმცხადებელთა განმარტებით, წარმოდგენილი კორექტირებული მაჩვენებლებით გაუქმდა დამხმარე ფართობი (1243.83კვ.მ) და ის საცხოვრებელ ფართობს დაემატა.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ სამსახურის 17/03/2016 წლის №2488700 ბრძანებაში საცხოვრებელი ფართის ნაწილი მითითებულია დამხმარე ფართობად, რომლის ჩასწორება და საცხოვრებელ ფართად დაფიქსირებაც მიზანშეწონილია. ასევე განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შესწორებული მაჩვენებლები შესაბამისობაშია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და შეოტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 17/03/2016 წლის №2488700 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი - 5695,26კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი - 2969,59კვ.მ, საოფისე ფართობი - 891,87კვ.მ, საზაფხულო ფართობი - 632,79კვ.მ; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი - 336,42კვ.მ. სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 17/03/2016 წლის №2488700 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.